საქართველოს მთავრობის

დადგენილება №115

2013 წლის 17 მაისი

ქ. თბილისი

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებაში (სსმ, 28.04.2010, მუხლი 727) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“:

1. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. განაცხადი მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის არ მიიღება, თუ მაძიებელი უკანონოდ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში და ამ ფართის კანონიერი მესაკუთრე არ ეთანხმება ამ ფაქტს, რაც სააგენტოსთვის ცნობილი გახდა კანონიერი მესაკუთრის მომართვის საფუძველზე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის მაძიებლის მიერ შემოტანილ განაცხადზე სააგენტო რეაგირებას არ ახდენს (უარი მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე), კანონიერი მესაკუთრის მიერ სააგენტოში მონაცემების წარმოდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. კანონიერი მესაკუთრე პასუხისმგებელია მის მიერ წარდგენილი მონაცემების (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართების მისამართები) სისწორეზე, რასაც აწვდის სააგენტოს შეთანხმებული ფორმატით.“.

2. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განაცხადის შეტანისა და უფლებამოსილი პირის მეშვეობით განაცხადში მითითებული ოჯახის ყოველი წევრის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციასთან გადამოწმების შემდეგ ხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება დადგენილი მეთოდოლოგიისა და წესების შესაბამისად.“.

3. მე-11 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადგენს მაძიებლის განაცხადში შეტანილ მონაცემთა სიზუსტეს, ხოლო განაცხადში მითითებული ოჯახის ყოველი წევრის შემოსავლების შესახებ ინფორმაციას ამოწმებს შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციასთან;“.

4. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უფლებამოსილი პირის მიერ განაცხადში შეტანილი მონაცემების შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციასთან შედარების შემდეგ, ამ წესით დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით განისაზღვრება სარეიტინგო ქულა.“;

5. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაცია სააგენტოს მიეწოდება შეთანხმებული ფორმატით, სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 ივნისიდან.